თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი 23 თებერვალი, 2010

სხდომა №3
სხდომის ოქმი №3/2010

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. ასოცირებული პროფესორი ოლღა ქავთარია,
5. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე,
6. პროფესორი მაკა სალხინაშვილი,
7. პროფესორი მურმან ცარციძე,
8. პროფესორი ნინო ორმოცაძე,
9. ასოცირებული პროფესორი მარინა ზორანიანი,

**სხდმოის თავმჯდომარე:** ვალენტინა საყვარელიძე
**სხდომის მდივანი:** კახი ყურაშვილი

**დღის წესრიგი:**

1. თჰუ–ის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული ფინანსებისა და კრედიტის სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის გაუქმებისა და ამ პროგრამით ჩარიცხულ მაგისტრთა სტატუსის შეჩერების თაობაზე (მომხს. ო. ეჯიბაძე);
2. თჰუ სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული კერძო სამართლილის სამაგისტრო პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანისა და 2009/10 სასწავლო წლის დასრულებისთანავე მისი გაუქმების თაობაზე (მომხს. კ. ყურაშვილი)

1. **მოისმინეს:** პროფესორმა ოლეგ ეჯიბაძემ ისაუბრა ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებულ ფინანსებისა და კრედიტის სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შესახებ, რომელზეც ირიცხება ოთხი სტუდენტი: თოლორდავა გიორგი; ტალახაძე ლევან; გამისონია თამთა; თოლორდავა ზაქარია. ფინანსური დავალიანების არსებობასთან ერთად, მიმდინარე სემესტრის მანძილზე სტუდენტები ინტენსიურად აცდენდნენ ლექცია–სემინარებს, რამაც გამოიწვია სასწავლო პროცესის ჩაშლა და საბოლოო ჯამში ვერ მოხერხდა სამაგისტრო პროგრამის რეალიზება. პროფ. ეჯიბაძემ სადისერტაციო საბჭოს მიმართა წინადადებით ფინანსებისა და კრედიტის სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საერთოდ გაუქმებისა და ჩარიცხულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერებაზე თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** ვ. საყვარელიძემ, კ. ყურაშვილმა.

**გადაწყვიტეს:**

1. გაუქმდეს ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული ფინანსებისა და კრედიტის სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პრიოგრამა.
2. ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდეთ თჰუ–ის სტუდენტის სტატუსი 1 სემესტრის ვადით, 2010/2011 სასწავლო წლის დაწყებამდე ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული ფინანსებისა და კრედიტის სფეროში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პრიოგრამის შემდეგ სტუდენტებს: თოლორდავა გიორგი; ტალახაძე ლევან; გამისონია თამთა; თოლორდავა ზაქარია.
3. დაევალოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ პროფ. გია თოფურიას აღნიშნული სტუდენტების სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლის პროცესის ხელშეწყობა, 2010–2911 სასწავლო წლისათვის.
4. დაევალოს თჰუ–ის ვებ–დიზაინერს (ა. ვართანოვს) აარნიშნული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე განთავსება.
5. ეთხვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

**2. მოისმინეს:** კ. ყურაშვილმა ისაუბრა თჰუ სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ, რომელზეც ირიცხება მხოლოდ მეორე კურსის სტუდენტები. მომხსენებელმა საბჭოს მიმართა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მილევად რეჟიმში გადაყვანისა და 2009–2010 სას. წლის დასრულებისთანავე გაუქმების შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** ვ. საყვარელიძემ, მ. სალხინაშვილმა.

**გადაწყვიტეს:**

1. თბილისის ჰუმანიტარულ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართლის სამაგისტრო პროგრამა გადაყვანილ იქნას მილევად რეჟიმში, და გაუქმდეს 2009–2010 სასწავლო წლის დასრულების თანავე.
2. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თჰუ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: ვ. საყვარელიძე

თჰუ აკადემიური საბჭოს მდივანი: კ. ყურაშვილი

23.02.2010